გეომედი ლაიფ Geomedi Life

№18 (19) 2025 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

ს პ ე ც ი ა ლ ურ ი გ ა მ ო შ ვ ე ბ ა

უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტმა, გიორგი ხვისტანმა ნორვეგიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კლასიკურ წოლჭიმში 120+ კგ წონით კატეგორიაში (ჭაბუკებში) მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა შედეგით 190 კგ. აღსანიშნავია, რომ გიორგი უკვე ევროპის მოქმედი ჩემპიონიცაა ჭაბუკებში.

,,შეჯიბრებისათვის მზადება დაახლოებით 6 თვით ადრე დავიწყე, როგორც კი ნაკრების შემადგენლობაში დამამტკიცეს. ბევრ დროს ვატარებდი დარბაზში, კვირაში 4-5 დღე ვვარჯიშობდი; მწვრთნელთან ერთად ვცდილობდი ჩემი შედეგების გაუმჯობესებას, ბევრს ვშრომობდი და თანდათან ვზრდიდი დატვირთვებს ჩემს სხეულზე.

ვფიქრობდი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე, ვემზადებოდი ფსიქოლოგიურადაც. ვგრძნობდი დიდ პასუხისმგებლობას. მკაცრი გრაფიკი არ მაძლევდა მოსვენების საშუალებას, ვცდილობდი სწავლა და ვარჯიში შემეთავსებინა, თუმცა ძალიან რთული იყო.

ნორვეგიაში შეჯიბრზე, დიდი მხარდაჭერა მქონდა თანამემამულეების, ჩემი გუნდელებისა და ფედერაციისგან. ერთ მუშტად შეკრულნი ვცდილობდით ჩვენი ერი ღირსეულად წარმოგვედგინა.

შეჯიბრიდან ჩამოსვლისთანავე ზღვა სიყვარული მივიღე იმ ადამიანებისაგან, რომლებიც მთელი ეს დრო მგულშემატკივროვდა და მეხმარებოდა. ძალიან გახარებული ვარ დღემდე, რომ შევძელი და არ დავტოვე ჩემი ოჯახი, მეგობრები და ახლობლები იმედგაცრუებულნი. ცალკე გამოვარჩევ უნივერსიტეტ გეომედს, საიდანაც პირველივე დღიდან ვგრძნობდი უდიდეს მხარდაჭერას ნებისმიერ საკითხში. მიხარია, რომ ასეთ შესანიშნავ უმაღლეს სასწავლებელში მოვხვდი, საოცარ ადამიანებთან ერთად. მინდა ვახსენო, როგორ დამხვდნენ პატარა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო და სასიხარულო სიურპრიზით. მადლობა ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ლექტორებსა და კურსელებს. დიდი მადლობა გეომედს!

შემდეგი შეჯიბრი, ევროპის ჩემპიონატი სექტემბრის შუა რიცხვებში ჩატარდება მალტაში, კერძოდ, დედაქალაქ ვალეტაში. ვეცდები იქაც ღირსეულად წარმოვადგინო ჩვენი ქვეყანა და ერი.''

გიორგი ხვისტანი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტი.

,,სტუდენტური ფესტივალი 2025'' განხორციელდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით და მასში მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა.

,,სტუდენტური ფესტივალი 2025''- ის ფარგლებში გამართულ ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმაც. მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა - მარიამ კულუმბეგაშვილმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა მაგიდის ჩოგბურთის ტურნირში. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის I კურსის სტუდენტმა ლიზა კალინინამ კი მეორე ადგილი - ცურვასა და სპრინტში.

,,სტუდფესტი 2025''- ის მოხალისეობრივ პროექტში უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა. პროექტი ჩატარდა სამ ქალაქში და მოიცავდა დაახლოებით 100-მდე დაინტერესებულ მოსწავლესა თუ სტუდენტს. მოხალისეობრივი პროექტის ფარგლებში, სტუდენტებს უნდა აერჩიათ თემა, მოეფიქრებინათ და დაეორგანიზებინათ პროექტი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო უნივერსიტეტის თვითმართველობა.

უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებმა წარადგინეს პროექტი თემაზე: ,,ვირტუალური რეალობის როლი მედიცინაში'', რომლის ფარგლებშიც მათ საინფორმაციო შეხვედრები გამართეს საჯარო სკოლებში. სკოლის მოსწავლეებს გააცნეს და აჩვენეს თუ როგორ გამოიყენება ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგია თანამედროვე მედიცინაში. გარდა თეორიული ნაწილისა, მოსწავლეებმა თავად გამოცადეს VR ტექნოლოგია პრაქტიკაში.

პროექტზე მომუშავე ჯგუფი სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისგან შედგებოდა:

გვანცა ობოლაშვილი - მედიცინის ფაკულტეტი, მე - 2 კურსი.
ანამარია ხაჩიძე - მედიცინის ფაკულტეტი, 1- ლი კურსი.
ფეოდორა შალამბერიძე - ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, 1- ლი კურსი.
ლუკა კეკენაძე - ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი, 1- ლი კურსი.
აბდულ გუფრან - მედიცინის ფაკულტეტი, მე-3 კურსი.

წარდგენილ პროექტებს აფასებდა ჟიური, რომლის შედეგებიც შემოდგომის სემესტრში გახდება ცნობილი.

შემაჯამებელ ღონისძიებაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს პროექტის პრეზენტაცია და დეტალურად ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების შესახებ.

პასუხისმგებელი პირები: ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე

გეომედი ლაიფი Geomedi Life

№18 (19) 2025 University Geomedi Quarterly Newspaper

Special Edition

Giorgi Khvistani, a student of the Faculty of Physical Medicine and Rehabilitation of University Geomedi won the world championship in the 120+ kg weight category (young men) in the classic bench press at the World Championships held in Norway with a result of 190 kg. Giorgi is already the European champion among juniors.

"I started preparing for the competition about 6 months in advance, as soon as I was confirmed for the national team. I spent a lot of time in the gym, 4-5 days a week with the coach, trying to improve my results, working hard, and gradually increasing the loads on my body. I thought only about winning, preparing myself psychologically. I felt a great responsibility. The tight schedule did not allow me to rest. I tried to combine studying and training equally, but it was very difficult.

At the competition in Norway, I felt great support from my compatriots, my teammates, and the federation. We tried to represent our nation with dignity.

After returning from the competition, I felt immense love from the people who supported and helped me. I am very happy that I did not disappoint my family, friends, and relatives.

I would like to single out the University Geomedi from which I felt the greatest support in any matter from the very first day. I am glad to be at such a wonderful institution, with amazing people. I would like to mention how they welcomed me with a small, but very pleasant and joyful surprise. Thanks to the faculty administration, lecturers, and students. Many thanks to Geomedi!

The next competition will be the European Championship in Malta, specifically in Valletta, in September. I will try to represent our country and nation there with dignity."

Giorgi Khvistani –Student of the Faculty of Physical Medicine and Rehabilitation.

„Student Festival 2025" was implemented at the initiative of the Ministry of Education, Science, and Youth, organized by the Youth Agency, Tbilisi Municipality Hall, and the Association of Student Organizations of Georgia. The festival contributes to the development of youth capabilities, the promotion of healthy lifestyles, the dissemination of cultural and creative ideas among young people, the encouragement of volunteer activities, etc.

Students of the University Geomedi participated in the "Student Festival 2025." Mariam Kulumbegashvili, a first-year student of the Faculty of Medicine, participated in table tennis and took third place. Lisa Kalinina, a first-year student of Physical Medicine and Rehabilitation, took second place in swimming and sprinting.

This year, students from the University Geomedi participated in the "StudentFest 2025" volunteer project for the first time. The project was held in 3 cities and involved approximately 100 interested students. As part of the volunteer project, students were required to choose a topic, research it, and organize a project.

Students of the University Geomedi presented a project on the topic: "The Role of Virtual Reality in Medicine". As part of the project, students held informational meetings in public schools. They introduced and shared with the schoolchildren how virtual reality (VR) technology is used in modern medicine. In addition to the theoretical part, the students themselves tested VR technology in practice.

The project team consisted of students from different faculties:

Gvantsa Obolashvili - Faculty of Medicine, 2nd year student.
Anamaria Khachidze - Faculty of Medicine, 1st year student.
Feodora Shalamberidze - Faculty of Health Economics and Management, 1st year student.
Luka Kekenadze - Faculty of Health Economics and Management, 1st year student.
Abdul Gufran - Faculty of Medicine, 3rd year student.

The submitted projects were evaluated by a jury, and the results will be announced in the fall semester. At the closing event, the students made a presentation and spoke in detail about the activities carried out.